ჯემალ გამახარიას სიტყვა

ქალბატონებო და ბატონებო!

პირველ რიგში, მსურს მადლობა მოვახსენო გერმანულ-ქართული სახლის ხელმძღვანელებს, ქ-ნ ნინო ციბაძეს, ყველა ორგანიზაციას თუ პიროვნებას, ვინც მონაწილეობა მიიღო დღევანდელი სევდიანი, მაგრამ მაინც საინტერესო ღონისძიების ორგანიზებაში, ვინც საჭიროდ ჩათვალა დღეს ჩვენი აქ ყოფნა თქვენთან ერთად. არ შეგვეძლო არ ჩამოვსულვიყავით ღონისძიებაზე, რომელიც ეძღვნება მოუშუშებელ ტკივილს, უდიდეს ტრაგედიას საქართველოს უახლეს ისტორიაში - აფხაზეთის რუსული ოკუპაციის 30-ე წლისთავს. ამ დღეებში მოსკოვსა და სოხუმში დიდი ზეიმია გამართული. ალბათ, მსოფლიო ისტორიაში პირველ და ერთადერთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ოკუპანტები აფხაზეთში ზეიმობენ მოსახლეობის უმრავლესობის საკუთარი სახლებიდან განდევნას, ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის, ქალების, ბავშვების, ხანდაზმული ადამიანების წამებას და ფიზიკურ განადგურებას.

აფხაზეთში 1992-1993 წლებში მიმდინარე ომი გახლდათ ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი კონფლიქტი არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაშიც კი. ეს ომი 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო. იგი პროვოცირებული და მართული იყო რუსეთის ფედერაციის მიერ, თუმცა აქვე ჩვენი პასუხისმგებლობაც უნდა ვაღიაროთ: ჩვენ ანუ ქართული მხარე, სამწუხაროდ, კრემლის ანკესზე წამოეგო. ომის საწყის ეტაპზე რუსეთი ჰიბრიდული მეთოდებით მოქმედებდა. 1992 წლის 1 ოქტომბრიდან კი, როდესაც განხორციელდა გაგრაზე შეტევა, და ომის დასრულებამდე - 1993 წლის 30 სექტემბრამდე რუსეთის შეიარაღებული ძალები უშუალოდ მონაწილეობდნენ ომში საქართველოს წინააღმდეგ აფხაზეთის ოკუპაციისა და მისი შემდგომი ანექსიის მიზნით. სწორედ აღნიშნული მიზნის მისაღწევად კრემლს დასჭირდა აფხაზეთის მთელი ქართული მოსახლეობის იძულებითი დეპორტაცია და ნაწილის ფიზიკური განადგურება.

საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელმა და სასამართლო ხელისუფლებამ თავის დროზე დასაბუთებული პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება მისცეს 1992 – 1993 წლების ომს და მის შედეგებს. აღნიშნული შეფასების მიხდვით აფხაზეთი 19993 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობს ამ ტერიტორიის ანექსიას. აფხაზეთის იკუპაციისა და ანექსიის მიზანს ემსახურებოდა რუსული ე. წ. სამშვიდობო მისია, 2008 წლის 26 აგვისტოს ვითომ აღიარება და შემდგომ წლებში სოხუმსა და მოსკოვს შორის გაფორმებული უკანონო შეთანხმებები.

ჯერ კიდევ საომარი მოქმედებების მიმდინარეობის პერიოდში, 1993 წლის 1 აპრილს, საქართველოს პარლამენტმა თავის დადგენილებაში პირველად ჩაწერა, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები და სეპარატისტები მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე

ახორციელებენ ეთნიკური წმენდის პოლიტიკას, რომელმაც მიიღო გენოციდის სახე. ამ დღიდან მოყოლებული ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში, საზღვარგარეთის ქვეყნების პარლამენტებში წლების განმავლობაში იგზავნებოდა მიმართვები აფხაზეთში განხორციელებული და მიმდინარე გენოციდის შესახებ, რომლის მსხვერპლი ხდებოდა ქართული მოსახლეობა.

1993 წლის 6 ოქტომბერს შექმნილმა სახელმწიფო კომისიამ 1997 წლისთვის მოამზადა ვრცელი დასკვნა აფხაზეთის ტერიტორიაზე განხორციელებული ეთნიკური წმენდის/გენოციდის შესახებ, რომელიც გაეროს გენერალურ ასამბლეას მიეწოდა.

სამწუხაროდ, საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მიმართვებს რეალური შედეგი არ მოჰყოლია, მხოლოდ ეუთომ და ევროპარლამენტმა აღიარეს ეთნიკური წმენდა, მაგრამ არა გენოციდი. საერთაშორისო ორგანიზაციების ფრთხილი პოზიცია აფხაზეთის ტრაგედიის შეფასების საკითხში მხოლოდ იმჟამინდელი საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურით აიხსნება - „ცივ ომში“ გამარჯვების შემდეგ ეიფორიაში მყოფი კოლექტიური დასავლეთი აფხაზეთში განხორციელებულ ეთნოწმენდა-გენოციდზე პასუხისმგებელ რუსეთის ფედერაციას დემოკრატიულ სახელმწიფოდ და მოკავშირედაც კი განიხილავდა. ამიტომ გენოციდის საერთაშორისო აღიარება არ მომხდარა, ხოლო რუსეთი არა თუ არ დასჯილა, მშვიდობისმყოფელადაც კი მოგვევლინა.

მოგეხსენებათ, დღეს სრულიად განსხვავებული სიტუაციაა. ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში, რომელიც უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის შედეგად ყალიბდება, შესაძლებლად მიგვაჩნია 30 წლის წინ აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის სამართლიანი შეფასება საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. ასეთი შეფასება აუცილებელია თუნდაც უკრაინაში ჩადენილი დანაშაულის გენეზისის გამოძიების თვალსაზრისითაც. რუსეთის ფედერაცია წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, უკრაინის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ცივილიზებული კაცობრიობის თვალწინ ველური მეთოდებით ყოველდღიურად სჩადის საერთაშორისო სისხლის სამართლით გათვალისწინებულ ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. ამ შემთხვევაში მოსკოვი იყენებს 1992 – 1993 წლებში აფხაზეთში შეძენილ დანაშაულებრივ გამოცდილებას, რომელიც შემდგომში დაიხვეწა ჩეჩნეთში, 2008 წელს ისევ საქართველოში და „სრულყოფილებას“ უკრაინაში მიაღწია.

აფხაზეთში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ 30 წლის წინ ჩადენილი უმძიმესი დანაშაული დღემდე გრძელდება, მისი შედეგები არ აღმოფხვრილა. შესაბამისად, კვლავაც აქტუალურია აკადემიური წრეებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ამ განგძობადი დანაშაულის ობიექტური შეფასების საკითხი. ასეთი შეფასება იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ის ხელს შეუწყობს აფხაზეთის არაღიარების, დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მეთოდებით მოგვარების პოლიტიკის წარმატებას, რომელსაც საქართველოს მთავრობა მიზანმიმართულად ახორციელებს. ჩვენი ქვეყვანა, დიდი იმედი

გვაქვს, მალე ევროკავშირის წევრობის კანდიდატი გახდება და ევროპული ინსტიტუტების თანადგომით გააქტიურებს ძალისხმევას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის, დევნილების  საკუთარ სახლებში დაბრუნებისთვის. მიზნის მისაღწევად, მთვრობის ძალისხმევასთან ერთად, აუცილებელია საზოგადოების, მათ შორის დიასპორის აქტიურობაც, რათა ჩვენი სატკივარი ევროპელებამდე მივიტანოთ. ასეთ აქტიურობას ვხედავთ ჩვენ დღეს აქ, რისთვისაც კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას. ჩვენგან განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ქალაქის მერს ბ-ნ ტომას კლაპროტს, რომლის მხარდაჭერის გარეშე დღევანდელი ღონისძიება ვერ შედგებოდა. ბ-ნ მერს მინდა მოვახსენო, რომ აფხაზეთის პრობლემებით, მისი ისტორიით დაკავებულ პირებს ძალიან უყვართ თვენი თანამოგვარე, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ცნობილი გერმანელი მეცნიერი Iulius Heinrich Klaproth – ავტორი წიგნისა - Reise in den Kaukazus und Georgien unternomen in den iahren 1807 und 1808. Hale und Berlin, 1812. ეს წიგნი 1835 წელს პარიზში ფრანგულადაც გამოიცა. სეპარატისტებთან ისტორიულ თემებზე დისკუსიის დროს  ხშირად მივმართავთ ამ ნაშრომს, სადაც იულიუს კლაპროტი  ამტკიცებს, რომ აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიის უძველესი მკვიდრნი სწორედ ქართველები არიან. ამის შემდეგ სიმბოლურად მომეჩვენა დღეს ქართველების გვერდით ბატონ ტომას კლაპროტის ყოფნა.  მადლობა თქვენ, ბატონო ტომას, მადლობა ყველა კლაპროტს.